საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, პუშკინის ქ. №17



2005წ.



საპროექტო ტერიტორიის ხედი ლ. გუდიაშვილის ქუჩიდან, 2017წ.

შემსრულებელი:
ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
თბილისი
ივლისი
2017წ.

საპროექტო ტერიტორიის აღწერა

ახალმშენებარე ობიექტის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილის უბან ზემო კალასა და გარეუბნის მიჯნაზე (კრწანისის მუნიციპალიტეტი) **პუშკინის ქუჩაზე №17** და მოიცავს აქ სანახევროდ აგებულ ლითონის კარკასს. საპროექტო ტერიტორია პუშკინის ქუჩის მჭიდრო განაშენიანებაშია მოქცეული. ამ სახლების ეზოები ვიწრო გასასვლელებით გადის დიუმას ქუჩაზე, სახლების ფასადები კი, თავისუფლების მოედნისკენ, პუშკინის ქუჩასა და მიმდებარე სკვერისკენ იმზირება. ქუჩის გადაღმა, გუდიაშვილის ქუჩის დასაწყისში, დგას საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შენობა.



აეროფოტო 2014წ.

საპროექტო ტერიტ.

უბნის ეს მონაკვეთი ძლიერ დაზიანდა 2001 წლის მიწისძვრის დროს. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ზოგი ნაგებობა პუშკინის ქუჩის განაშენიანების სახლების შიდა ეზოებში. ეს სახლები დეფორმირებულია და ნგრევის პირასაა მისული. 2008-11 წლებში ამ უბანში ჩატარდა ქუჩის განაშენიანების რეაბილიტაცია, თუმცა განაშენიანება ძირითადად მოწესრიგდა პუშკინის ქუჩისკენ გამომავალი ფასადების მხარეს. უფრო ადრე დაპროექტდა ნაგებობა, რომლის ლითონის კარკასი სანახევროდ არის აგებული.

ძეგლების რუკაზე, რომელიც შედგენილია 2007 წელს პუკინის ქუჩის განაშენიანების მწკრივული რიგი დაურღვეველადაა წარმოდგენილი. 2011წ-ის. რეაბილიტაციის შედეგად კი, მშენებარე კარკასთან დატოვებულია გასასვლელი დიუმას ქუჩისკენ და დანგრეულია დიუმას ქუჩაზე გამავალი სახლი №30.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)



საპროექტო ობიექტი უსტატუსო ნაგებობაა

ორგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

ხელოვნების მუზეუმი – პუშკინის ქ. №4 . . .;
საცხოვრებელი სახლი – პუშკინის ქ. №11 . . .;
საცხოვრებელი სახლები – დიუმას ქ. №№11,13;
საცხოვრებელი სახლი – დიუმას II შეს. №2;

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

უბნის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

კალა თბილისის უძველესი უბანია. იგი მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ფერდობზე. კ. ლესელიძის ქუჩის დაღმართი (ყოფილი ე.წ. შუა ბაზარი) კალას ჰყოფდა ზემო და ქვემო კალას უბნებად.



კალა და გარეთუბანი – 1671 წ. შარდენი (მხატვარი ბრელო)



კალა და გარეთუბანი – 1701 წ. ტურნეფორი (მხატვარი ობრიე)

შუა საუკუნეების თბილისის (კალას) გალავანი სოლოლაკის ქედიდან ჩრდილოეთისკენ ქვემოთ იყო ჩამოზრდილი და ქალაქს ზღუდავდა დღევანდელი დადიანისა და პუშკინის ქუჩების გასწვრივ. შემდეგ აღმოსავლეთისკენ უხვევდა და ბარათაშვილის ქუჩის გაყოლებით მდ. მტკვრამდე ჩადიოდა. ამ გალავანში რამდენიმე კარიბჭე იყო დატანებული. „კოჯრის კარი“ (ზოგჯერ წავკისის ან ზემო კარად მოხსენებული) ლესელიძის ქუჩის დასაწყისთან მდებარეობდა. აქ ორ, მართკუთხა ბურჯს შორის გამართულ კარიბჭეში შედიოდა თბილისში რუსეთიდან მომავალი გზა, რომლის მეორე ტოტი „დიღმის კარით", ვერცხლის ქუჩას უერთდებოდა. XIX ს-ში თბილისი ამ გალავნის მიღმა გავრცელდა. ქვემო კალადან დადიანის ქუჩის ზემოთ სოლოლაკი განვითარდა, ზემო კალას მიღმა კი – გარეთუბანი.

გარეთუბნიდან დაიწყო თბილისის განვითარება ჩრდილოეთისკენ. ეს კარგად ჩანს იმდროინდელ თბილისის გეგმებზე და ჩანახატებზე.

თბილისის გეგმა 1800-იანი წწ.



ამ დროს გარეთუბანში განაშენიანება ჯერ კიდევ მეჩხერია

თბილისის გეგმა 1809წ.



აქ უკვე დაპროექტებულია კვარტალები თბილისის ახალ უბან გარეთუბანში



გალავანს შიგნით დარჩა შუა საუკუნეების ფეოდალური ქალაქი, ზღუდის გარეთ კი, ევროპულ, ბურჟუაზიულ ხუროთმოძღვრებას ეყრებოდა საფუძველი. ამის კარგი მაგალითია ჩვენს მიერ განსახილველი განაშენიანება, რომელიც პირდაპირ შეესაბამება XIX ს-ის გაზეთ „ზაკავკაზსკის ვესტნიკში" (1847წ. №7) დაბეჭდილ სიტყვებს: „თბილისი... ერთგვარი იანუსია, რომელიც ერთი სახით აზიისკენ არის მიმართული, მეორეთი – ევროპისაკენ".

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან (1795წ. შემოსევით გამოწვეული ჭრილობების მოშუშების შემდეგ) უკვე ნათლად გამოიკვეთა თავისუფალი მოხაზულობის და სხვადასხვა ზომის ურბანული კვარტალები და ქუჩათა პერიმეტრების მომცველი, წინასწარ დაპროექტებული, კლასიკური რეპერტუარის შემცველი და თბილისური ტიპის აივნიანი საცხოვრებელი სახლები – მწკრივული განაშენიანება ქუჩების პერიმეტრზე და თავისუფალი მოხაზულობის შიდა ეზოების სტრუქტურა კვარტალების შიგნით.

ამ უბნის ურბანული განაშენიანების მოწესრიგებაზე გარკვეული გავლენა იქონია მთავარმართებელ ტორმასოვის მიერ შედგენილმა 1810 წლის საბუთმა, გარეთუბანში უგეგმო და უკონტროლო მშენებლობების აკრძალვის შესახებ.

1809 წ. თბილისის გეგმაზე კი უკვე დაპროექტებულია გარეთუბნის ცენტრალური ღერძი - დღევანდელი რუსთაველის პრ. და მის გარდიგარდმო, მართკუთხა კვარტალები. აქ პუშკინის ქუჩის გასწვრივ გალავნის კედელი კვლავ არის დატანილი. 1844წ. გეგმაზე კი გალავანი უკვე აღარ არის აღნიშნული და თუ თბილისის ძველ გეგმას დღევანდელ განაშენიანებას დავადებთ ვნახავთ, რომ "ჩვენი" სახლი პირდაპირ გალავნის კედლის ადგილასაა აშენებული.

თბილისის გეგმა 1844წ.



XIXს-ის მეორე ნახევრიდან ქალაქი ვითარდება და თანდათან ყალიბდება მოედანი „კოჯრის კარის" მიმდებარე სივრცეზე. აქ თბილისის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებიდან (გ. ლეონიძის, ყოფ. კიროვის ქუჩა) ავანაათხევი ჩამოედინებოდა, იქვე კი სამეფო ოჯახის ბაღები იყო გადაჭიმული. 1840-იან წლების ბოლოს ავანაათხევი აგურის თაღოვანი კოლექტორით გადახურეს და ყოფილი გალავნის გასწვრივ ქუჩა გაიმართა. თანდათან მთლიანად გაიჩეხა სამეფო ბაღები.

როგორც ჩანს ამავე დროს მოანგრიეს გალავნის კედელი პუშკინის ქუჩის გასწვრივ. აქ წარმოქმნილ მოედანს „ერვანსკის მოედანი" ეწოდა, 1828 წელს რუსეთის არმიის მიერ ქ. ერევნის აღების აღსანიშნავად და მხედართმთავარ გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის პატივსაცემად. 1851წლის გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკში" აღწერილია, რომ ერევანსკის მოედნი ერთ და ორსართულიან სახლებით იყო შემოფარგლული (ერთ-ერთ ასეთ სახლში (№5) ყოფილა გაჩერებული ა. პუშკინი 1829წ. თბილისში ყოფნის დროს). 1851 წ. მოედნის ცენტრში არქიტ. სკუდიერიმ ააგო ე.წ. იტალიური ოპერისა და თამამშევის ქარვასლის ერთიანი შენობა. უფრო ადრე კი 1830-იან წლებში, ცნობილმა ქართველმა ფაბრიკანტმა იაკობ ზუბალაშვილმა მოედნის ქვედა ნაწილში ააშენა საკუთარი სახლი. 1860-იანი წწ-ებიდან ეს შენობა გადაეცა სასულიერო სემინარიას. ამჟამად აქ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმია განთავსებული. ბატონყმობის გაუქმებამ და ბურჟუაზიულმა რეფორმებმა 1860-იან წლებიდან უფრო დააჩქარა და გაზარდა ქალაქთმშენებლობა. 1880-იან წლებში აქ გამავალ ქუჩას დაერქვა პუშკინის სახელი.



ერევანსკის მოედანი 1850-60 წწ. მიჯნა. ლითოგრაფია ფოტოდან

XX ს-ის დასაწყისში დასრულდა ამ უბნის ურბანული სახით ჩამოყალიბება და ქალაქთმშენებლობითმა აქცენტმა კიდევ უფრო შორს გადაინაცვლა.



თბილისის გეგმა 1902წ.

XXს-ის პირველ მეოთხედში პუშკინის ქუჩის და მიმდებარე ტერიტორიის სტრუქტურა აღარ შეცვლილა, თუმცა იცვლებოდა სახლების გაბარიტები და გარეგანი სახე – ხის კიდულ აივნებიან პატარა სახლების ადგილს იკავებს ორ-სამსართულიანი ეკლექტიკურ ფასადებიანი სახლები.

სტრუქტურული ცვლილება განხორციელდა 1930-იან წლებში, როდესაც მოედანზე დაინგრა თამამშევის ქარვასლა და მოედანმა მიიღო თავისუფალი სივრცე. ამავე დროს დაშენდა და ფასადები შეეცვალა რამდენიმე სახლს. ეს ცვლილებები კარგად ჩანს საარქივო ფოტოებზე.

9. ეკლესია (სამების);
137. საჯარო ბიბლიოთეკა;
138. ქალთა I გიმნაზია;
139. სამხედრო ისტ. განყოფილება;
140. სასულიერო სემინარია;
141. კავკასიის მუზეუმი;
142. სასტუმრო „სევერნიე ნომერა“;
143. თბილისის კომერც. ბანკი;
144. სასტუმრო „დვორცოვიე ნომერა“;
155. ქარვასლა (საქართ. თავად-აზნ);
156. ქარვასლა (თამამშევის);
157. ამიერკავკ. სამხედრ. შტაბი;
159. სასტუმრო „კავკაზი“;
162. საქალაქო სათათბირო;
182. საკრედიტო საზოგადოება;
Д. რუსეთის ბაზრის მოედანი;
Е. ერევანსკის მოედანი

XXს-ის მიწურულს, აქტიურად დაიწყო ამ უბნის განაშენიანებაში ცვლილებების შეტანა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია და წამყვანია ამ ცვლილებებამდე არსებული, ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანება.



პუშკინის ქუჩა – XIXს-ის ბოლო
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©



პუშკინის ქუჩა – 1900-იანი წწ. დასაწყისი

XIX ს-ის შუა ხანებში აგებულ ხის კიდულ აივნებიან პატარა სახლების ადგილს თანდათან იკავებს ორ-სამსართულიანი ეკლექტიკურ ფასადებიანი სახლები.

თბილისის და კერძოდ ჩვენთვის საინტერესო უბნის დღევანდელი სახე იმ ისტორიულ-სოციალური და მხატვრულ-არქიტექტურული ფაქტორების შედეგია, რაც საუკუნეების მანძილზე ჩაისახა, განვითარდა და ჩამოყალიბდა განსაზღვრულ გეოგრაფიულ რელიეფზე.



აუშკინის ქუჩა – 1930-იანი წწ. დასასრული



აუშკინის ქუჩა – 2010-იანი წწ. დასაწყისი

აქ წარმოდგენილია სახეცვლილება რომელიც გაკეთდა რამდენიმე წლის წინ. ნაგებობათა საფასადო სახე მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა. ნაგებობებს დაემატა ორი სართული. მარჯვენა ფლანგზე კი აშენდა ახალი მოცულობა, რომელიც სამწუხაროდ ამოვარდნილია კონტექსტიდან.

ქუჩების განაშენიანების სტრუქტურა

პუშკინის ქუჩა იწყება თავისუფლების მოედნიდან, სადაც XIXს-მდე თბილისის გალავნის ე.წ. კოჯრის კარი იყო განთავსებული. ქუჩა ჯერ მოედნის ერთ წახნაგად გვევლინება, შემდეგ თავდაღმა ეშვება, უხვევს ვერცხლის ქუჩასთან და ორბელიანის მოედანთან გადაიზრდება ბარათაშვილის ქუჩაში, რომელიც მტკვარს ებჯინება.



პუშკინის ქ. 2005წ.



პუშკინის ქ. 2017წ.

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ქუჩის მონაკვეთი თავისუფლების მოედნიდან ვერცხლის ქუჩამდე. ეს ოვალური, ოდნავ დაქანებული მონაკვეთი ორ-სამსართულიანი სახლებით იყო განაშენიანებული. გამონაკლისს წარმოადგენდა შენობათა ჯგუფი, რომლებიც იდგნენ უშუალოდ თავისუფლების მოედანზე. ეს არის 1902 წელს არქიტექტორ შიმკევიჩის მიერ აგებული ყოფილი „თბილისის პასაჟის“ შენობა №5, რომელიც 1935წ. გადააკეთა არქიტექტორმა ნეპრინცევმა და დააშენა IV სართული და არქიტექტორ ზალცმანის მიერ XIXს-ის ბოლო მეოთხედში აგებული (საბოლოოდ დასრულდა 1903წ.) „თბილისის საკრედიტო საზოგადოების“ შენობა №3, რომლის ადმინისტრაციულ კორპუსს 1990-იან წლებში დააშენეს IV სართული და მანსარდა ორი სფერული გუმბათით (არქიტექტორები: ნ. სარალიშვილი, ზ. ისაკაძე, ზ. ფილიშვილი. დღეს ამ შენობაში გაერთიანებული ქართული ბანკია).

2000-იან წლებში ზალცმანის შენობის დანარჩენი მარჯვენა ნაწილი დაანგრიეს და დაპროექტდა ახალი მოზრდილი ნაგებობა რომლის მშენებლობა ამჟამად სრულდება. დარჩენილია ზედა ტერასის მშენებლობა და საფასადო სამუშაოები.

2011 წელს დაიწყო №5 და №7 სახლების რეკონსტრუქცია. ამ ორ, ოდნავ განსხვავებული სიმაღლის, შენობას დაემატა რამდენიმე სართული და სიმაღლე გაერთმნიშვნელოვანდა. ასევე რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ზალცმანისეულ შენობას. მოიხსნა სფერული გუმბათები და მათ ნაცვლად ცენტრში აქცენტირებული მოცულობა დაპროექტდა.



პუშკინის ქუჩის ზედა ნაწილი, 2005წ.



პუშკინის ქუჩის ზედა ნაწილი, 2017წ.

პუშკინის ქუჩაზე ერთგვაროვანი მწკრივული განაშენიანება იყო – ცოკოლის სართულზე შემდგარი ორ-სამსართულიანი სახლები ფსევდოკლასიცისტური და რენესანსული საფასადო მოტივებით. ფასადების მხატვრულ სახეს განსაზღვრავდა პირველი სართულების ფართო ღიობები, ნალესობით გამოყვანილ სარკმელთა სათაურები, სარტყლები და ლავგარდნები. გამონაკლისს წარმოადგენს ნეპრინცევის მიერ გადაკეთებული ეკლექტიკური შენობა, კონსტრუქტივისტული მოტივებით №7.

2008-11 წლებში ჩატარდა პუშკინის ქუჩის კენტრიცხვებიანი განაშენიანების რეაბილიტაცია. №15 სახლს დაემატა ერთი, №13 სახლს ორი სართული. ხოლო №9 და №11 ორსართულიანი სახლების პარაპეტზე აღიმართა მაღალი ბუტაფორიული კედელი ფსევდოსარკმლების რიგით და მათ წინ მოეწყო ორი სართულის სიმაღლის „პასაჟი“.



პუშკინის ქუჩის შუა ნაწილი, 2005წ.



პუშკინის ქუჩის შუა ნაწილი, 2017წ.



პუშკინის ქუჩის შუა ნაწილი, 2005წ.



პუშკინის ქუჩის ძველა ნაწილი, 2005წ.



პუშკინის ქუჩის ძველა ნაწილი, 2005წ.



პუშკინის ქუჩის შუა და ძველა ნაწილი, 2017წ.

პუშკინის ქუჩის შუა ნაწილში, სადაც საპროექტო ტერიტორია მოქცეული, პუშკინის სკვერისა და ხელოვნების მუზეუმის საპირისპირო მხარეს, ორ-სამსართულიანი განაშენიანება იყო ფსევდოკლასიცისტური ტიპის მკაცრი ფასადებით. რეაბილიტაციის შედეგად აქ აღადგინეს აივნებიანი სახლები. ანალოგიურ არქიტექტურულ სურათს ვხედავთ ვერცხლის ქუჩის მიმდებარე მონაკვეთში.

სრულიად საპირისპიროა პუშკინის ქუჩის უკანა პარალელური დიუმას ქუჩა მიმდებარე ქუჩაბანდებით. ამ მონაკვეთისთვის დამახასიათებელია ზოგადად ძველი თბილისის ჩვეული განაშენიანება, განპირობებული საშუალო სირთულის ბუნებრივ რელიეფს მორგებულ ქუჩათა თავისუფალი ქსელით.





დიუმას ქუჩა კ. ცინცაძის ქუჩის გადაკვეთასთან.





დიუმას ქუჩა კ. ცინცაძის ქუჩის გადაკვეთასთან.

თანაბარი მასშტაბის ნაგებობები მწკრივულად მიჰყვება ვიწრო ქუჩათა მოცემულ აბრისს. მათი სტრუქტურა ემორჩილება ქუჩათა მონახაზს და ხაზს უსვამს მათ თავისუფალ მიმართულებებს. მკაფიო აქცენტებად აღიქმება შენობები შესახვევთა კუთხეებში.

ეს პრინციპი, აქ განუხრელად არის დაცული – პირველადია ქუჩების ქსელი, ხოლო ნაგებობათა სტრუქტურები მასზეა მორგებული.



დიშმას ქუჩა კ. ცინცაძის ქუჩის გადაკვეთასთან, 2017წ.



დიშმას ქუჩა საპროექტო ტერიტორიასთან, 2017წ



დიშმას ქუჩა საპროექტო ტერიტორიასთან, 2017წ

- ნაგებობა საპროექტო ადგილზე





№17 – ფასადი პუშკინის ქუჩიდან, 2005წ.

საპროექტო ადგილზე, პუშკინის ქუჩის მხარს იდგა ქართული აგურით ნაშენი სამსართულიანი ნაგებობა №17 სადა მკაცრი ფასადით და თბილისისათვის ჩვეული გალერეა-აივნებისნი სტრუქტურით მოზრდილი ეზოს მხრიდან. შენობა დაინგრა და მის ნაცვლად ააწყვეს რკინის კონსტრუქცია. დაინგრა ასევე რამდენიმე მცირე ზომის ერთ და ორსართულიანი სახლები №30 და №19/30, რომლებიც იდგა ეზოში და ნაწილი გადიოდა დიუმას ქუჩისკენ.



ხედი ნანგრევზე ეზოს მხრიდან, 2005წ.

უკანა მხრიდან შემოიფარგლავდა ვრცელ ეზოს. აქედან გასასვლელი იყო დიუმას ქუჩაზე, შემდეგ ამოუშენებიათ. აქ არსებობდა საინტერესო გეგმარებითი და სტრუქტურული მოცულობები, რომლებიც გახსნილ ეზოებს ქმნიდნენ დიუმას ქუჩის მხარეს. ამჟამად დანგრეულია ეს მიმდებარე ნაგებობებიც და მთელი ეს მონაკვეთი დიუმას ქუჩამდე მოსწორებულია.



ძეგლების რუკა, 2007წ.



ხედი საპროექტო ტერიტორიაზე ჩრდილოეთისკენ, 2017წ.



ხედი საპროექტო ტერიტორიაზე დიუმას ქუჩისკენ, 2017წ.



ხედი საპროექტო ტერიტორიაზე სამხრეთისკენ, 2017წ.





ხედი საპროექტო ობიექტზე და ტერიტორიაზე პუშკინის ქუჩიდან, 2017წ.





ხედი საპროექტო ობიექტზე და ტერიტორიაზე პუშკინის ქუჩიდან, 2017წ.



2008-11 წლების რეაბილიტაციის დროს დატოვეს ვიწრო გასასვლელი დიუმას ქუჩისკენ. აქ ამჟამად ფიცარნაგი და ბაქანია მოწყობილი რამდენიმე საფეხურიანი კიბით. ნახევრად აგებული და მიტოვებული საპროექტო ობიექტი ბეტონის საძირკვლიანია, რომელზეც აღმართულია დაახლოებით ოთხი-ხუთი სართულის სიმაღლის ლითონის კონსტრუქცია.



ხედი შიდა კვარტალიდან, 2017წ.

- **საარქივო ფოტოების ანალიზი**

თავდაპირველად აქ უნდა მდგარიყო ორსართულიანი სახლი, დაბალი მეორე სართულით, ალბათ აგებული XIX ს-ის შუა ხანებში, როდესაც აიღეს აქ გამავალი გალავნის კედელი. მოგვიანებით, XIX ს-ის მეორე ნახევარში სახლზე დაუშენებიათ მესამე მაღალი სართული, ხის კიდული საფასადო აივნით (XIX ს-ის მიწურულის საარქივო ფოტო). XX ს-ის პირველ მეოთხედში გადაუკეთებიათ სახლის ფასადი – მოუხსნიათ ხის კიდული აივანი და შეუცვლიათ საფასადო მორთულობა.



პუშკინის ქუჩა – XIX ს-ის ბოლოს და 2005 წელს



XIX ს-ის 90-იანი წწ.



№17 სახლის ხის კიდული აივანი





№17 სახლი ეზოს მხრიდან

პუშკინის ქუჩის შიდა კვარტალი – 1890 - 1895 წწ.





№17 სახლი ეზოს მხრიდან

პუშკინის ქუჩის შიდა კვარტალი – 1900 - 1904 წწ.

მინაშენების დამატებით მოგვიანებით შეიცვალა სახლის ფასადი ეზოდანაც.

დასკვნა და რეკომენდაციები

ურბანული გარემოს განვითარების პროცესი ამ უბანში, ისევე როგორც ზოგადად ძველი თბილისის სხვა უბნებში, ევოლუციურად მიმდინარეობდა. მას საფუძვლად ედო აქ არსებული გეოგრაფიული და არქიტექტურული მოცემულობები (ქალაქის გალავნის კედელი, ავანაანთ ხევი, ისტორიული გზები, მოედნები, ბაღები) და ამავე მოცემულობათა რეალიების გათვალისწინებით მოეწყო ქუჩების ქსელიც. ამ პროცესში თითოეულ ეპოქას მისთვის დამახასიათებელი გეგმარებითი და მხატვრული ცვლილებები შეჰქონდა ურბანულ ქსოვილში და შედეგად მივიღეთ უბნის დღევანდელი სახე – ისტორიულად მოცემულ არქიტექტურულ-გეგმარებით საფუძველზე XXს-ის პირველ ნახევარში ჩამოყალიბებული ურბანული გარემო, XXს-ის მეორე ნახევრის გარკვეული სტრუქტურული ცვლილებებით.

ასეთივე ცვლილებები განიცადა საპროექტო ადგილზე არსებულმა სახლებმაც. მათი გარეგნული სახე შექმნილი იყო შესაბამისი ეპოქებით. შემდეგ მიმდინარეობდა გადაკეთებები, XX ს-ის პირველ მეოთხედში და მომდევნო პერიოდში. შედეგად ჯერ მივიღეთ სადა, მკაცრფასადიანი, ფსევდოკლასიცისტური ელფერის მქონე სამსართულიანი ნაგებობა შემდეგ კი ლითონის კარკასი.

ქუჩა დაახლოვებით მსგავსი ტიპის ნაგებობებით იყო შედგენილი. ეს იყო ერთგვაროვანი მწკრივული განაშენიანება მშვიდი, დაწყნარებული რიტმით – ცოკოლის სართულზე შემდგარი ფსევდოკლასიცისტური და რენესანსული საფასადო მოტივებიანი ორ-სამსართულიანი სახლების რიგით. რამდენიმე წლის წინ ნაგებობებს დაემატა სართულები და შეიცვალა მათი სტრუქტურა.

აქ ცვლილებები მუდმივად მიმდინარეობდა. ახალი ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად ამ ურბანულ გარემოში ცვლილებების შეტანა ალბათ კიდევ მოხდება. ოღონდ ნებისმიერი ცვლილება კვლავ ევოლუციური უნდა იყოს და არ უნდა შექმნას მკვეთრი დისონანსი აქ უკვე არსებულ გარემოში.

შეიძლება აღინიშნოს, რომ ცვლილებები მნიშვნელოვანწილად ევოლუციურად მიმდინარეობდა. სტილისტური განსხვავების მიუხედავად ეს ნაგებობები სტრუქტურულად და ესთეტიკურად ერთი ეპოქის ამსახველნი არიან და ამიტომ აქ ჩამოყალიბებულია ერთიანი არქიტექტურული გარემო (რასაც ვერ ვიტყვით პუშკინის ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ცეკავშირის ყოფილი შენობის დღევანდელ რეკონსტრუქციასა და თავისუფლების მოედანზე ახლად აგებულ სასტუმროზე, რომელთა მოცულობითი ფორმები, მასალა თუ ფასადების მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტა ამოვარდნილია ისტორიული განაშენიანებიდან).

ამიტომ აქ მოსალოდნელი ნებისმიერი გეგმარებითი და სარეკონსტრუქციო სახეცვლილების დროს, მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული არსებულ ქუჩათა განაშენიანების და ნაგებობების თავისებურებანი, რათა არ დაიკარგოს ამ ურბანული სტრუქტურის მხატვრულ-ისტორიული ღირებულება.

ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პუშკინისა და დიუმას ქუჩებს შორის მოქცეული შიდა კვარტალის სახლები მთლიანად აღებულია წინა საპროექტო წინადადების დამტკიცების შედეგად. ამასთან გვერდით ჩამოყალიბებულია ადაპტირებული და აღდგენილი ნაგებობები. ამიტომ სასურველია პროექტირებისას გათვალისწინებული იყოს ამ გამონთავისუფლებული ტერიტორიის მომავალი, რადგან აქ ახალმშენებლობისას გათვალისწინებული იყოს ეს გარემოება.

სასურველია, რომ გვერდით შემორჩენილ ნაგებობებში გამოვარჩიოთ თავდაპირველი გეგმარებითი და სტრუქტურული მოცულობები, რაც შესაძლოა გამოყენებული იქნას საპროექტო მოცულობების და ეზოს დაგეგმარებისთვის. ამგვარი მიდგომა სასარგებლო და წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სამომავლოდ მთელი კვარტალის პერსპექტიული დაგეგმარების გათვალისწინების თვალსაზრისით.

აქ მნიშვნელოვანია თუ რა მხატვრული ღირებულების მქონე ახალი მოცულობები აიგება. მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ქუჩის და განაშენიანების თავისებურებანი, რათა არ დაიკარგოს ამ ურბანული სტრუქტურის მხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული ღირებულება.

შესაძლებელია ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიებაც, ოღონდ ფრთხილი მიდგომით და ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურბანულ მახასიათებლებთან კონტექსტში, რაც თავიდან აგვაცილებს ვიზუალურად ზედმეტად აქტიური ლაქის გაჩენას ამ გაწონასწორებულ და მშვიდ ურბანულ სხეულში.

ამგვარად, ვინაიდან მშენებარე ობიექტი მიტოვებულია და შესაძლებელია მიღებული იქნეს ახალმშენებლობის გადაწყვეტილება, სასურველია, ამ უბნის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ისეთი ნაგებობის აგება, რომელიც შეესაბამება უბნის ხასიათს და უმტკივნეულოდ ჩაეწერება უბნის ისტორიულ განაშენიანებაში. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფასეულობათა დაცვას, რაც ახასიათებს ამ მიკროუბანს:

- გასათვალისწინებელია უბნის განაშენიანების გეგმარება, მასშტაბები და არსებული მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლები;

- შესანარჩუნებელია ეზოები, ვინაიდან უბნის თითქმის ყველა ნაგებობა და მათ შორის დიდი შენობებიც მოცული იყო შესაბამისი მასშტაბის ეზოებით, რაც უბნის განაშენიანების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია;

- ახალი მოცულობების ფასადების მხატვრული სახე, რიტმული დანაწევრება და ფერადოვნება არ უნდა არღვევდეს უბნის ამ მონაკვეთის ჩამოყალიბებულ ხასიათსა და მხატვრულ მთლიანობას. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტრადიციული სამშენებლო მასალის გამოყენებას და ნეიტრალურ „ჩამქრალ“ ფერებს;

- ამავე დროს ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული სტილისტიკა ზომიერად უნდა იყოს გამოყენებული რათა ახალმშენებლობა არ დაემსგავსოს ბუტაფორიას;

- შესაძლებელია, ვიზუალურად ნაკლებად აქტიური, ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიებაც, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურბანულ მახასიათებლებთან კონტექსტში;

- გათვალისწინებული უნდა იყოს 2008-11 წლებში ჩატარებული რეაბილიტაციის შედეგები და ახალი ნაგეობა პუშკინის ქუჩის მხრიდან არ უნდა ცდებოდეს სიმაღლეში რეაბილიტირებულ ნაგებობებს, ხოლო დიუმას ქუჩის მხრიდან იქ არსებული განაშენიანების სასიმაღლო აბრისს;

- ვინაიდან პროექტირდება ერთი განსაზღვრული ადგილი, სასურველია ამ მოცულობათა დაპროექტებისას ანგარიში გაეწიოს მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების მოწესრიგების პერსპექტივას და გათვალისწინებული იქნას არსებული მოცულობითი ერთეულების და მიწის ნაკვეთების რაოდენობა; არ უნდა მოხდეს მათი გაერთიანება და გამსხვილება;

- სასურველია მიმდებარე ტერიტორიის კეთლმოწყობა და შიდა კვარტალის გადაგეგმარება უბნის რელიეფისა და ტრადიციული სივრცობრივ-გეგმარებითი მოცემულობების გათვალისწინებით;

- ყოველივე ამის გათვალისწინებით გაუმჯობესდება დარღვეული ურბანული ქსოვილი რაც შექმნილია დაზიანებული ნაგებობებით და ამავე დროს მიკრო-უბანს შეუნარჩუნდება თვითმყოფადი არქიტექტურული სახე;

- მნიშვნელოვანია ქუჩის განაშენიანების განშლების და ასევე ფოტომონტაჟების გაკეთება, როგორც პუშკინის, ასევე დიუმას ქუჩების მხრიდან, არსებული და საპროექტო მოცემულობების ერთი და იგივე რაკურსიდან ჩვენებით, რათა კარგად იყოს აღქმული ახალი მოცულობების წილი არსებულ განაშენიანებაში;

- სასურველია ავტოპარკირების პრობლემების გადაწყვეტა მიწისქვეშა სივრცეში რის დროსაც შესაძლებელია საჭირო იყოს არქეოლოგიური ზედამხედველობა;

- გასათვალისწინებელი იქნება ასევე მშენებლობის ხარისხიც;

- *ლოკალური უბნის ქუჩების განვითარება*

პუშკინის ქუჩა – ჩაისახა XIX ს-ის პირველ ნახევარში თბილისის ძველი გალავნის და იქვე ჩამდინარე ავანაანთხევის გაყოლებაზე. აქ ქუჩა ჩამოყალიბდა ერევანსკის მოედნის გაგრძელებაზე, მას შემდეგ რაც 1840-იან წლებში აიღეს გალავანი, ხოლო ავნაანთხევი მოაქციეს კოლექტორში და გადახურეს. ქუჩის სახელწოდება პირველად აღნიშნულია თბილისის 1884 წლის გეგმაზე. ერევანსკის მოედნის (პუშკინის მომავალი ქუჩის) ერთ-ერთ სახლში (№5) ყოფილა გაჩერებული ა. პუშკინი 1829წ. თბილისში ყოფნის დროს. 1892 წ. ქუჩის პირა სკვერში დადგეს ა. პუშკინის ძეგლი (ბიუსტი).

დიუმას ქუჩა – წარმოიქმნა XVIII ს. ბოლოს. უკვე აღნიშნულია 1782 წლის თბილისის გეგმაზე, სახელის გარეშე. მას ჯერ **„ჭუჭყიანი“ (1844წ.),** შემდეგ **„პრიკაზის“ (1867), „სოლომონის“ (1902) და „ჟელიაბოვის“ (1921)** სახელი ერქვა. **1990-იან წწ**. ეწოდა **„ალ. დიუმას“** ქუჩა

კალისტრატე ცინცაძის ქუჩა – წარმოიქმნა XVIIIს. ბოლოს. უკვე აღნიშნულია 1800 წლის თბილისის გეგმაზე. მას ჯერ **„ოქოევის“,** შემდეგ 1921 წლიდან **„მამაცაშვილის“,** 1990-იანი წწ-დან კი **„კალისტ. ცინცაძის“** სახელი ეწოდა.

ხელოვნებათმცოდნე – **გია ჭანიშვილი**
30. 07. 2017


SUBWAY
STUDIO9
Architectural
Design
www.studio9.ge


61
STUDIO9
Architectural
Design
www.studio9.ge


STUDIO9
Architectural
Design
www.studio9.ge


SUBWAY
STUDIO9
Architectural
Design
www.studio9.ge


STUDIO9
Architectural
Design
www.studio9.ge


593 71 95 85
28
A. Diuma
STUDIO9
Architectural
Design
www.studio9.ge


STUDIO9
Architectural
Design
www.studio9.ge

STUDIO9
Architectural
Design
www.studio9.ge

STUDIO9
Architectural
Design
www.studio9.ge

ხედი ჯოლმეურნეობის მოედნიდან



ფურცლები	ჩანაცვლება N	ცვლილების N	შენიშვნა საკადას
A-1			

ქანარიობითი ანალიტიკური

0.00 ნიშნ. გეგმაზე

6.00 ნიშნ. ჭრილზე

3010 / 397.1 ბაღის ნიშნ.

5 ღერძები

1 პროექტის ხაზი

ბეტონების კლდეები

ბლოკების კლდეები

ხანძარმედეგნი პარაპეტი

ხანძარმედეგნი პარაპეტი

წყალსანრეტი მილი

წყალსანრეტი მილი

წყალსანრეტი მილი

წყალსანრეტი მილი

წყალსანრეტი მილი

ფასადის კონსტრუქციის , ალუმინიუმის ბადით ბალუსტრის

ბაზის მეა ხაზი

ბაზის საკოორდინატო N

ბაზის ლატიტუდა

ბაზის ლონგიტუდა

ბაზის მასშტაბური კოეფიც

შენიშვნები

1. სამაშენებლო ნორმები პროექტის სამომხმარებლო.
2. ნაგებობის ნორმა ლოკალური მშენებლობისა. შეთანხმებული ზონა ნებისმიერი ავარიისას.
3. შეთანხმება პროექტირების ავარიასთან პასუხის ზონა საარსებო.

სინქრონიზაციის სქემა

რაიონი: ამბროლაური კვეთილი -17

პროექტი: მაღაროლუქსიტიანი კომპლექსის

მისამართი: ქარაგი ტაბორისა ქუჩა კვეთილი N 17

თანამონაწილეობა	ბეჭედი	ხელმოწერა
მთ.არქიტექტორი	მამაკაცის	
პროექტი	მამაკაცის	
არქიტექტორი	ელენე ქამუში	
არქიტექტორი	გიორგი ქამუში	
არქიტექტორი	ნ.ქამუში	
შრომატევადობა	ნ.ქამუშიანი	

ავტორების ორგანიზაციის

STUDIO9 Architectural Design

მუნ. სტუდიო 9

არქიტექტურული ბიურო

მასშტაბი	1:100	ფაილი
ფორმატი		პროექტირება

6		
5		
4		
3		
2		
1		
0		

ფაზა	ცვლილება	შენიშვნა
ფაზა	ცვლილება	შენიშვნა



0.00	ნიშნული ტროტუარის ზედაპირის
6.00	ნიშნული სახურავის
3010 / 3971	ფანჯრის ნომერი
5	ფანჯრის ტიპი
1	ასაღები ტროტუარის ზედაპირი
	ტროტუარის ზედაპირი
	ფასადის ზედაპირი

A-2			ფასადების ნახატები
ფურცლის N	ფურცლების N	ცვლილების N	ნახატის დასახელება

პროექტის ავტორები		
პროექტის ხელმძღვანელი		
ინჟინერი		
არქიტექტორი	ნ. ჯოხაძე	
ინჟინერი		
არქიტექტორი		
ინჟინერი		
არქიტექტორი		
ინჟინერი		
არქიტექტორი

აივნების ფასადის ფრაგმენტი ასაწევი ფასადის



ნაგებობის კლასი	
ფუნქციური კლასი	
ტიპი	
ფენა	
ნაგებობის დონე	L00
ნაგებობის ნომერი	
პროექტის სტადია	დეტალური დეტალიზაცია
ნომერი	დასახელება
1	
2	
3	
4	
5	
6	
7	
8	
9	

პროექტის ავტორები		
ავტორი	ტიხონ ტიხონოვი	
ხელმძღვანელი		
კონსულტანტი		
კონსულტანტი		
კონსულტანტი		
კონსულტანტი		
კონსულტანტი		
კონსულტანტი		
კონსულტანტი		
კონსულტანტი		
კონსულტანტი		

STUDIO9 architectural Design

შპს. სტუდიო 9

ობიექტის დასახელება, ნომერი, მისამართი

ობიექტის ნომერი	L390
ობიექტის დასახელება	

ნახაზის დასახელება	ნახაზის ნომერი	ნახაზის ფორმატი

ნახაზის დასახელება	ნახაზის ნომერი	ნახაზის ფორმატი
ასაწევი ფასადის ზედაპირის ფრაგმენტი	A-1	

ნახაზის ნომერი

ნახაზის ფორმატი

ნახაზის მასშტაბი

ნახაზის ნომერი

ნახაზის დასახელება



ვიზუალიზაცია ასახავს ფასადის ფერად გადაწყვეტას
RGB: 255,213,199
ტიპი: ნაცრისფერი RAL 7016

ნახაზის დასახელება	ფასადის N	ცვლილების N	შენობა ნაგებობის
A-1			

ფასადის ვიზუალიზაცია

0.00	ნიშნული	
6.00	ნაგებობის სიმაღლე	
30/0	ფასადის დახრილობა	
2971	ფასადის ფერი	
	ფანჯრის ტიპი	
	ფასადის ელემენტი	
	ფასადის ელემენტი	

1. ნახაზის ზომები მოცემულია მილიმეტრებში, სხვაგვარად მითითებული არ არის.
2. ნახაზის ზომის შემოწმება აუცილებელია მშენებლობის დაწყებამდე.
3. ნებისმიერი არაავტორიზებული ცვლილება ან გადახრა ნახაზში ავტომატურად აუქმებს ავტორის პასუხისმგებლობას.

ნახაზის სია

ფასადის ვიზუალიზაცია	A-1

ობიექტის მისამართი	ქ. ბათუმი, ა. ფაღავას ქ. №17
დამკვეთი	შპს „ბათუმის ტექნოლოგიური ინსტიტუტი“
პროექტირების ეტაპი	პროექტი
ავტორი	ნ. ჯაფარიძე
ხელმძღვანელი	ნ. ჯაფარიძე
პროექტირების ეტაპი	პროექტი
ნახაზის დასახელება	ფასადის ვიზუალიზაცია
ნახაზის N	A-1
ცვლილების N	
თარიღი	03.2026

1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			

ნახაზის ავტორები

ნ. ჯაფარიძე	

ავტორის უფლებები დაცულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონით. ნახაზის ნებისმიერი სახით გამოყენება, კოპირება ან გავრცელება ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

STUDIO 9 architectural design

შპს. სტუდიო 9

ობიექტის მისამართი: ქ. ბათუმი, ა. ფაღავას ქ. №17

ფასადის ვიზუალიზაცია	A-1
ფასადის ფერადი გადაწყვეტა	A-2
ფასადის ელემენტების დეტალები	A-3
ფანჯრების ტიპები	A-4
ეზოს გენერალური გეგმა	A-5
სართულების გეგმები	A-6
ჭრილები	A-7
სახურავის გეგმა	A-8

პროექტის ავტორთა ჯგუფი

ხელმძღვანელი	ნ. ჯაფარიძე
არქიტექტორი	ნ. ჯაფარიძე
ინჟინერ-კონსტრუქტორი	ლ. ციხისძე
ინჟინერ-ტექნოლოგი	ნ. ჯაფარიძე
ვიზუალიზაცია	ნ. ჯაფარიძე
ელექტრონული ვერსიის მომზადება	ნ. ჯაფარიძე


-0.30 (409.65)
+3.10
+6.25
+9.35
+10.35
+12.45
+15.55
+18.70
+21.75
593 71 95 85
ECOKOL
A. Dima 28
ფასადის ფერადოვანი გადაწყვეტა იხ. ფასადების ფერადოვანი გადაწყვეტა



ფორმატი	ფაილის №	ცვლილების №	ფაილის სახელი
A-2			

პირობითი აღნიშვნები

- 0.00 — ნიშნ. შეხმაგზე
- 6.00 — ნიშნ. ჭრილზე
- 301.0 / 397.1 — გარე ნიშნ.
- 5 — ღერძი
- 1 — ჭრილის ხაზი
- ბეტონის კედელი
- ბლოკის კედელი

- (1-3-906) — ქარის ხანგრძლივობის №
- ქარის ციხსრედრებია
- 1.00 / 2.65 — ქარის თავისუფალი სიმაღლე
- ქარის თავისუფალი სიმაღლე

შენიშვნები

1. ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში;
2. ნახაზის ცალკეა ცვლილება დანიშნულობის შემთხვევაში უნდა ეცნობოს ავტორებს;
3. შესრულის პროექტირებამდე ავტორსახელო უნდა ეწეროს პარამეტრებ;

დასახელება

ამხანაგობა კუშანის -17

პროექტი

მრავალფუნქციური კომპლექსის

მისამართი	ქალაქ. თბილისის კუშანის № 17	
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
მთ.არქიტექტორი	მჭიაძე	
ავტორი	მჭიაძე	
არქიტექტორი	მელქაძე	
არქიტექტორი	ბარაშკი	
არქიტექტორი	ჯაბიშანაძე	
პოზიციზაცია	ს.კვირაქიძელია	

საპროექტო ორგანიზაცია

STUDIO9 Architectural Design

შპს. სტუდიო 9

არქიტექტურული ნაწილი

მასშტაბი	1:100	თარიღი
ნახაზი	კორექტირება	
	№	
	1	
	2	
	3	
	4	
	5	
	6	
სტადია	ნიღბები	ფურც.
სტადია პროექტი		

არსებული ფოტოსურათი



ფოტომონტაჟი



არსებული ფოტოსურათი



ფოტომონტაჟი



შპს. სტუდიო 9

STUDIO9 Architectural Design

არსებული ფოტოსურათი



ფოტომონტაჟი



არსებული ფოტოსურათი



ფოტომონტაჟი

